



ქრისტე აღდგა! გილოცავთ ქრისტიანული სამყაროსთვის უდიდეს დღესასწაულს! აღდგომა ახალი საწყისის, იმედისა და სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სიმბოლოა. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას!

გიორგი შრუშაბაძე,
სახელმწიფო რწმუნებული ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში.



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ქრისტე აღდგა! ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა უდიდესი საუფლო დღესასწაულია. ქრისტეს აღდგომა სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვების, განახლების და იმედის დღესასწაულია. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი. გისურვებთ სიკეთეს, სიძლიერესა და ჯანმრთელობას.

პატივისცემით, **დავით დარჩია.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეს თითოეული თქვენგანის ოჯახს და სრულიად საქართველოს. ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

პატივისცემით, **ლავრენტი გივავაძე.**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ა ლ ი ო ნ ი

გურია უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომოს 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოშვება. № 9 (10453) 20 აპრილი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

მათხია „ნუკაყნი“

ძეგბი ქანუყვადიების მარკეტი გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

მის: ქ. ოზურგეთი, ი. ჭავჭავაძის ქ. №14

ლანჩხუთში ტრადიციული ლელოზურთი გაიმართა

ალიონი. აღდგომას, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ტრადიციული ლელოზურთი გაიმართა. ბურთის შეკერვა დილიდანვე დაიწყო. შემდეგ კი მამა საბამ (ჟღერტი) ბურთი წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში გადაიტანა.

სოფელ შუხუთში ლელოზურთის დაწყებამდე ადგილობრივი და მოწვეული მეწარმეების ნაწარმთა გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ამავე დროს სხვადასხვა სპორტული აქტივობები (მკლავჭიდი, ბაგირის გადაზიდვა, ქართული ჭიდაობა) გაიმართა.

პირველი კომენტარი ცნობილ სამხედრო ექსპერტს, ვიცე-პოლკოვნიკ **თამაზ იმნაიშვილს** ვთხოვეთ:

—ლელოზურთი ქართული ეროვნული უძველესი სპორტის სახეობაა, რომლის ისტორია ბურთაობას უკავშირდება და სამ საუკუნეზე მეტს ითვლის.

ლელოზურთი „შუხუთფერდის“ ბრძოლას უკავშირდება, რომელიც 1854 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს გაიმართა. აზნაურმა ერასტი ჭყონიამ ხასან ბეგ თავდგირიძეს ხმლით მოკვთა თავი და ამის შემდეგ ნიგოთის ცნობილი ბრძოლა გაიმართა. ქართველებმა იმდენი მოახერხეს, რომ თურქები ჩოლოქს გადაღმა გადაყარეს და გურია ვაათავისუფლეს მტრისაგან.

სწორედ ამ მოვლენას უკავშირდება სიმღერა „ხასანბეგურა“ და ლელოს თამაში.

ლელოზურთი სოფელ შუხუთში, სწორედ საუკუნოვანი ცაცხვების ქვეშ იმართებოდა.

ბურთი აუცილებლად ტყავის უნდა იყოს და მას ქვიშით ავსებენ. ბურთის იმნაიშვილები კერავდნენ: ადრე ლევანი, გიორგი იმნაიშვილები. შემდეგ შაქრი იმნაიშვილი, რომელიც გარდაიცვალა და დღეს მის საპატივცემულოდ, მის ეზოში მოხდა ბურთის შეკერვის რიტუალის დასრულება.

ტრადიციულად გუნდები ზემოურბად და ქვემოურბად იყოფიან. იმარჯვებს ის, ვინც სიმბოლურ საზღვარს, საკირის ლეულს (უკანდელეს) ან საჭინკიეს ლეულს გადალახავს.

კომუნისტების დროს აღდგომას ლელოზურთის გამართვას კრძალავდნენ, მაგრამ მაინც იმართებოდა. 1974 წელს შეიტანეს ცვლილება ლელოს თამაშის წესში და გამარჯვებულ გუნდს ლელოს ბურთი გამორჩეული მოთამაშის საფლავზე მიაქვს — გვითხრა თამაზ იმნაიშვილმა.

—ისეთი ყინი და შემართებაა ამ ბრძოლაში, ავტრალიელი ვოლაბების ბრძოლას

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები


- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საჯალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით - 16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani15@gmail.com
 558 499100
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანი“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

ქრისტე აღდგა! ბილოცავით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს



16 აპრილს, სააღდგომო ლიტურგია აღესრულა ოზურგეთის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარში. სააღდგომო ლიტურგიას შემოქმედელი მიტროპოლიტი, მეუფე იოსები უძღვებოდა.

ბოდბეძე მახარაძემ აღდგომას, სოფელ უხუთში ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა



ალიონი. აღდგომას, 16 აპრილს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ უხუთში ოზურგეთელმა გოდერძე მახარაძემ ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. გოდერძე მახარაძის პირველი რეკორდი სოფლის ცენტრში ასწლოვან ცაცხვის ხეზე მიმაგრებული სახანძრო გადაბულ კიბის საფეხურებზე თავით ბურთის კენწვლით III საფეხურზე მეტის დაძლევის მცდელობას ითვალისწინებდა, რითაც უნდა გაეუმჯობესებინა პოლ ხანის (შვეიცარია) 2002 წლის 9 სექტემბერს ოვენსინგენში დამყარებული რეკორდი. გოდერძე მახარაძემ არათუ დაძლია, არამედ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოლ ხანის მიერ დამყარებული რეკორდი და სახანძრო კიბის 358 საფეხური დაძლია. ამისთვის მას 17 წუთი და 35 წამი დასჭირდა. მეორე რეკორდი „ექსკლუზიური“ იყო გოდერძისათვის. მას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადებული სოფელ უხუთის ტრადიციული ლელობურთის სათამაშო

უძიძი ბურთი თავზე უნდა დაელო და თავდადებული ბურთით 50 მეტრი 2 წუთზე ნაკლებ დროში გაერბინა. მსოფლიოში მსგავსი რეკორდი არსებობს, მაგრამ მხოლოდ 5 კილოგრამიანი ბურთით. წელს ლელობურთის წონა კი 16,4 კილოგრამს შეადგენდა. გოდერძემ მართლაც სარეკორდო დროში (32,30 წამი) შეძლო 50 მეტრი მანძილის დაფარვა. რეკორდების დამყარების შემდეგ გოდერძე მახარაძე გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა: - ეს ჩემი 59-ე და მე-60 რეკორდი გახლდათ. ისინი ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას მიუძღვნენ. იგი ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ვინეისა და მსოფლიოს პირველი რეკორდების დამყარებაში დაემხმარა. ამჟამად კი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სრული თანადგომა გამოძეგნა. ძირითადი მსოფლიო რეკორდების დამყარებას 26 მისს, ქ. ოზურგეთში, კულტურისა და დაცვების პარკის გახსნაზე გვემყობა - გვითხრა მან.

სოციალურად დაუცველ ოჯახებს ეფუძვნენ



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი დავით შარაშიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კუჭავასთან და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს ეწვია და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სააღდგომო ნობათები გადასცა.

ლანჩხუთში ტრადიციული ლელობურთი გაიმართა



მაგონებს. ძლიან მოხარული ვარ ამ დღესასწაულს ვესწრები - გვითხრა ავსტრალიელმა (ბრისბონი) პენსიონერმა პედაგოგმა პიტერ ჩანდლერმა. ლელობურთში მონაწილეობის მიხედვით ირლანდიელი და პოლონელი რაგბისტები იყვნენ ჩამოსულნი. მათ შორის ირლანდიის ნაკრების ყოფილი მორაგბე მაიკლ მაკკართი. ვეტერანმა ლელობურთელმა ლევან კალანდარიშვილმა თოფი გაისროლა და ლელობურთი ავარდა. მეტად დაძაბული თამაში ზემოურების გამარჯვებით დასრულდა. - დღეს ზემოურებმა გვაჯობეს. რაოდენობრივად მეტი მოთამაშის ორგანიზება შეძლეს. ვერ გეტყვით, ვის მეტჯერ აქვს გამარჯვება მოპოვებული ქვემოურებს და ზემოურებს,

მაგრამ ბოლო ხუთ წელიწადში ქვემოურებმა საძვერ გაიმარჯვეს. (2021 წელს პანდემიის გამო შეჯიბრი არ გამართულა). არ მაქვს წაგებულის შეგრძობა, რადგან ჩვენს ურთიერთობებში მეგობრობა იმარჯვებს - გვითხრა 22 წლის ლუკა იმნაიშვილმა. ლონისძიებს სახელწიფო რწმუნებული გურიის მხარეში გიორგი ურუშაძე, ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. 2019 წელს ლელობურთის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

„გურული ეთნოგრაფიული საფარეო“ - წიგნის პრეზენტაცია



ალიონი. 18 აპრილს, ოზურგეთის მუხუტუბის გაერთიანების დარბაზში საქართველოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის მარინა ჩხარტიშვილის წიგნი „გურული ეთნოგრაფიული საფარეო“ პრეზენტაცია შედგა. დამსწრე საზოგადოებას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა ბახვის ეკლესიის მოძღვარმა მამა იოსებმა (ნაკაძე). პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ამ წიგნის შესახებ ისაუბრეს: ოზურგეთის იტორიული მუხუტუბის დირექტორი ლანა ქვიციანი, ფონდების მცველი მანანა ლომიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი ავთანდილ თალაკვაძე,

განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი ლალი სიგინაძე, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი ლელა იმედაშვილი, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასილ ჩიგოგიძე, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატი მარინა გამალომიძე, ფოლკლორის ცენტრის დირექტორი ავთანდილ სურგულაძე, ეთნომუსიკოლოგი მათა გელაშვილი. მარინა ჩხარტიშვილმა წიგნი ავტორგაფიტი საჩუქრად შეხვედრის მონაწილეს გადასცა. წიგნი 250 გვერდს შეიცავს, არის მაღალბოლოვან დონეზე გამოცემული (გამომცემლობა „მერიდიანი“).

სააღდგომო ნობათი სოციალურად დაუცველთათვის



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, პირველ მოადგილესთან ეკატერინე გუგუბაძესთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ბესიკ ტაბიძესთან ერთად, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებსა და უფასო სასაიდლოს ბენეფიციარებს სააღდგომო საჩუქრები გადასცა.

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აღიონზე
«ალიონით»

„ბიუჯეტი მაქსიმალურად სახალხო უნდა იყოს და მოქალაქეების ჩართულობით უნდა ყალიბდებოდეს“



ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საზოგადოებრივი დარბაზის სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე დაეით დარბაზი უძღვებოდა. საზოგადოებრივი დარბაზის წევრებმა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში განიხილეს. დეტალურად იმსჯელეს გასული წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პრიორიტეტების მიხედვით განხორციელებულ ღონისძიებებსა და ბიუჯეტის პარამეტრებზე.

დარბაზის წევრებს ბიუჯეტის გარშემო მნიშვნელოვანი ინფორმაციები მიაწოდეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ლაფრენტი ბიგვაჯამ და მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა პაველ ჭყონიამ. მათ ისაუბრეს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან (2024-2030 წ.წ.) ბიუჯეტის შესახებაც, რომელიც უახლოეს ხანში უნდა მომზადდეს.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართა, საზოგადოებრივი დარბაზის წევრების (ლევან ხინთიბიძე, თამაზ ტრაპაიძე, ირაკლი პაპავა, კობა ცერცვაძე) შეკითხვებს მერიის

შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა უპასუხეს.

სხდომას ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ.

დარბაზის სხდომაზე საბიუჯეტო თემაზე თავისი პოზიცია დააფიქსირა ფრაქცია „საქართველოსათვის“ თავმჯდომარე ალექო ბურჭულაძემ.

თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიანია მას საზოგადოებრივი დარბაზის ამ ფორმით არსებობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე და როგორ ფიქრობს, რამდენად ეფექტურია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მსგავს ფორმატში წარმოდგენა – ამის შესახებ გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი ალექო ბურჭულაძემ გააკეთა:

— საზოგადოებრივი დარბაზის იდეა, როგორც ასეთი და ნებისმიერი მექანიზმი, რომელიც მოქალაქეთა ჩართულობას გულისხმობს, რა თქმა უნდა, კარგია. თუმცა დღესდღეობით ამ დარბაზში ვხედავთ მხოლოდ საკრებულოს წევრებს. ასევე, გვესწრება რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი,

რომელთა აქ ყოფნაც ძალიან კარგია, თუმცა პრობლემა არის უშუალოდ ხალხის ჩართულობის არარსებობაში. ამ დარბაზში არ ჩანან და საკუთარ მოსაზრებებს ვერ ავითქმნიან ქალაქის საზოგადოების წევრები, რიგობით მოქალაქეები. არადა საზოგადოებრივი დარბაზი სწორედ მათი ტრიბუნა და მათი მოსაზრებების გაშლამბის ადგილი უნდა იყოს. ბიუჯეტი მაქსიმალურად სახალხო უნდა იყოს და მოქალაქეების ჩართულობით უნდა ყალიბდებოდეს. ამასთან დაკავშირებით ვერ კიდევ შარშან წარმოადგინა ჩვენმა პარტიამ პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივა „სახალხო ბიუჯეტირება“, რომელიც გულისხმობს, რომ ბიუჯეტის გარკვეული ზღვარი მოქალაქეთა მასობრივი ჩართულობით უნდა განისაზღვროს. ეს ბიუჯეტს მოსახლეობაზე მაქსიმალურად ორიენტირებულს გახდის. ამგვარი პრაქტიკა უკვე არსებობს ევროპის ქვეყნებში და მათ მიერ მიღებული შედეგებიც საკმაოდ ეფექტურია. ჩვენი კანონპროექტი პარლამენტში უკვე ინიცირებულია, ასევე თვითმმართველობის დონეზე და ველით განხილვების დაწყებას. სწორედ მუნიციპალიტეტში უნდა უზრუნველყოს, რომ ამ დარბაზში მხოლოდ საკრებულოს წევრები და არასამთავრობო ორგანიზაცია კი არ იკრიბებოდეს, რიგობით მოქალაქეები უნდა მოდიოდნენ და თავად უნდა იღებდნენ მონაწილეობას ბიუჯეტირების პროცესში და მის განკარგვაში. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა თავად უზრუნველყონ სახალხო ბიუჯეტირების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა – განაცხადა ალექო ბურჭულაძემ.

გურიის ჭადრაკის ფედერაცია ბილოცავში ალღომის ბრწყინვალე ღმერთსაფაულს! უფლის ფყალობა და მაღლი არ მოშლოდეს ჩვენს ძველმანას, ჩვენს ოჯახებს, ჩვენს ფინდა ტაძრებს!

ქრისტე აღსდგა!
ჭეშმარიტად აღსდგა!



„ენებრო-პრო“ ჯორჯიას ოჯახების სერვისცენტრი ბილოცავში ალღომის ბრწყინვალე ღმერთსაფაულს! დაუსწარიტო მრავალს!



გაშენარის ცნობილი თუ უცნობი ბმირები



ამა წლის 11 აპრილს ოზურგეთის სამუხეუმო გაერთიანების თანამშრომლებმა გურიანთის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად პატივი მივავით ვაშნარის ველზე დაღუპულ გმირებს. უშუალოდ საფლავთან ჩავატარეთ საფორმაციო საუბრები. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და საქართველოს საგარეო მდგომარეობაზე ისაუბრა მუხეუმოს არქეოლოგია ნუმიზმატიკის განყოფილების გამგემ მარიკა ღლონტმა; პირველი ეროვნული გმირი ვალიდა გოგუაძე – მუხეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების გამგემ დარეჯან გოგუაძემ; ვაშნარის ცნობილი თუ უცნობი გმირები – მუხეუმის ფონდების მცველმა მანანა ღლონტმა; ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს გურიანთის საჯარო სკოლის პედაგოგებმა ფიქრია კვაჭანტირაძემ და ინგა მალაზონიამ, გურიანთის მუხეუმის თანამშრომელმა ნანა კუტუბიძემ.

უკვე მესამე წელია დიდი ყურადღება ექცევა ოსმალ დამპყრობლებისაგან ოზურგეთის განთავსებული მემორიალის დაღუპულ მემორ-

რთა უკდავყოფის საქმეს ამ საქმეში მადლობა ეთქმის ბატონ კონსტანტინე შვიგვილს, რომელმაც 2021 წლის 11 აპრილს სოფლის ახალგაზრდები შემოიკრიბა და გვირგვინებით შეამკეს საძმო საფლავი. და დაღუპული მემორიალისათვის პანაშვილი გადაიხადეს.

თავის დროზე ვაშნარის გმირების შესახებ საიტერესო ცნობას აქვეყნებდა გაზეთი „ერთობა“: „ვაშნარის ბრძოლა 1918 წლის 10-11 აპრილი – საშინელი სურათი იშლება მეზავის წინაშე, როცა მებრძოლთა უბრალო საფლავებს თხრიან მოხუცები, ქალები, და ეძებენ შვილებს, ქმრებს და ძმებს“.

„ერთმა პატარა სოფელმა 35 მებრძოლი დაკარგა, 35 სიცოცხლით სავსე ადამიანი, მოშორდა ცხოვრებას მათი საფლავი ვაშნარში გათხარა. იქ ერთად განისვენებენ მეუღლე საფლავში სოფელ ვიხანჯირში (ჩოჩხათის საზოგადოება) დასტორიან დაკარგულს სოფელი გლოვოს თავის შვილებს.“

ოჯახების ალკოგოლის განცხადება

სამართლებლო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი

სამართლებლო ალკოგოლის ანონიმის წევრების, ალკოგოლის განცხადება



მოგახსენებთ, რომ ოზურგეთის რაიონული სასამართლო ვერ აუღის საქმეთა ნაკადს, განსაკუთრებით პრობლემურია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა, ვერ კიდევ არ არის დასრულებული 2016 წლის საქმეები, ამავდროულად ახალი საქმეების 99%-ის ჩანიშნვის იმედი აღარ გვაქვს უახლოეს ერთ წელიწადში (შეიძლება უფრო მეტი დროც დასჭირდეს). ინტენსიურად განხილვა სისხლის სამართლის საქმეები და აქც გვაქვს დაუსრულებელ საქმეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. სასამართლო განმწესებულია მხოლოდ ორი მოსამართლე (ლანჩხუთის და ჩოხატაურის მაგისტრატის სასამართლო მოსამართლეების გარეშე), რომლებიც ფაქტურად 24/7 რეჟიმში მუშაობენ, მაგრამ აღნიშნული საკმარისი არ არის და სამართალწარმოების ყოველი მხარე დაზარალებული ვართ.

საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ოუსტიციის უმაღლესი საბჭო ვაღდებუ-

ლია ფლობდეს რაიონული სასამართლოების შესახებ ინფორმაციას, ჰქონდეს ხელთ სტატისტიკური მონაცემები და თავად იღებდეს ზომებს შესაძლო ან/და არსებული პრობლემების გამოსასწორებლად. რასაც ფაქტურად ვერ ვგრძობთ და ვერ ვხედავთ. საქართველოს მასშტაბით 9 რაიონულ სასამართლოში, მათ შორის ოზურგეთის რაიონულ სასამართლოშიც არის 2 ან 1 ან არცერთი მოსამართლე, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოში 127 მოსამართლეა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყველება უსამართლოა და რაიონული სასამართლოების მუშაობის პარალიზებას იწვევს, რაც ფაქტურად სასამართლო სისტემის პარალიზებაა და სიტუაციის მშვიდობიანი გადაწყვეტის-ათვის თავად ოუსტიციის საბჭომ უნდა უზრუნველყოს მოსამართლეთა პროპორციული გადაწყველება სასამართლოებში.

თქვენი უმოქმედობის გამო ირვევა მოქალაქეთა კონსტიტუციით და სურთამორისო აქტებით გარანტირებული

უფლებები, მათ შორის „საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება“. მოქალაქეები წლებია ელოდებიან თავიანთ სარჩელებზე და განცხადებებზე რეაგირებას, სამოქალაქო (და არამართლ) სპეციალიზაციის ადვოკატები ფაქტურად დაგრიტო სამუშაოს გარეშე, მოსამართლეების ფაქტობრივი სამუშაო საათების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება კანონით დადგენულ სამუშაო საათების ოდენობას, ირვევა მათი უფლებებიც.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის 1-3 ნაწილებით, 64-ე მუხლით, სურთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის 341-ე მუხლით ოუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვთხოვთ მოახდინოთ არაუგვიანეს 3 მოსამართლის მივლინება 2 წლის ვადით ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში და ასევე 2 მოსამართლის მივლინებას ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მაგისტრატ სასამართლოში იმევე ვადით.

იმდის ვიტოვებთ დროულ რეაგირებაზე და ასევე საბჭოს ვთხოვთ ინტენსიურად განხორციელოს მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსების ორგანიზება.

განმცხადებლები:
თინათინ ბასილაშვილი; კახა ჩაგლეიშვილი; მარინა ტულუმი; მარიამ მანაბრიძე; დავით მამალაძე; გონა გორდელაძე; ენზარ ურუშაძე; მერაბ ფულკარია; რეზო გობრონიძე; გონა ძიმიტარიშვილი.

ლაშხირა მასწავლებელი...



გუშინდელივით მასსოვს, როცა №2 საგანმანათლებლო სკოლაში (მაშინ ასე იწოდებოდა) ისტორიის გაკვეთილზე ახალი მასწავლებელი, ლაშხირა გიორგაძე შემოვიდა. ახალგაზრდა, ლამაზი თაფლისფერი თვალებით, მეტყველების საოცარი უნარით. სულ მალე იგი ჩვენს უსაყვარლეს მასწავლებლად იქცა. ჩვენი თაობა ყველა პედაგოგს განსაკუთრებული მოკრძალებით ექცეოდა, მაგრამ საყვარელი მასწავლებლის შერჩევა მხოლოდ ჩვენზე იყო დამოკიდებული, აქ მშობელიც კი უძლური იყო. მეც თავად გადავწყვიტე და წლების შემდეგაც ეს გადაწყვეტილება არ შემიცვლია: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარგალიტა კუნჭულია და ისტორიის

მასწავლებელი ლაშხირა გიორგაძე. ზოგადად, ადამიანები მეტ-ნაკლებად მტკიცებულად განვიცდით წლების მატებას, თუმცა, გვაგიჟებდა, მას ბევრი სიკეთის მოტანაც შეუძლია: წარსულის მოვლენების, ადამიანების უკეთ შეცნობის და გადაფასებების უნარი.

ჩვეულებრივი საგაზეთო წერილის მომზადებისას ჟურნალისტი მიმოიხილავს მისი რესპონდენტის მიერ განვლილი ცხოვრების გზას. მომთხროთ თქვენი ლაშხირა გიორგაძის მიერ განვლილი გზის შესახებ, გადავიფიქრე და იცით რატომ? მე წავიკითხე განცხადება, რომელიც მან №2 საჯარო სკოლის დირექტორს, ფატი სორიძეს გაუგზავნა:

მაინც რა წერია იმ განცხადებაში, რომელშიც მხცოვანი მასწავლებელი თავის დირექტორს სკოლიდან გათავისუფლებას სთხოვს.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე დიდი ტრადიციების მქონე მანარაძის №2 საგანმანათლებლო სკოლაში, ისტორიის მასწავლებლად. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, პროფესია, კოლეგები, მოსწავლეები და ზოგადად ადამიანი.

დიდი დრო გასულა, თითქმის ექვსი ათეული წელი. შრომის, გარჯისა და პროფესიული დაოსტატების დრო. „დროს დაყოვნება არ უყვარს.“ ამ ფრაზის გააზრება და ხანგრძლივი მოღვაწეობით დაღლილი ათწლეულების წყება-დრო, მერწუმნეთ, ჩემს თვალწინ შეჩერდა.

ვთხოვთ გამათავისუფლოთ მასწავლებლის მოვალეობიდან.

P.S. ძალიან მომენტებით. კვლავაც იძრალოს წარმატებულმა მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა ჩემს მშობლიურ და მარად ახალ-გაზრდა სკოლაში.“

ამ განცხადებამ შოკის ეფექტი გამოიწვია დირექტორსა და კოლეგებს შორის. მაგრამ მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, როგორც მოსალოდნელი იყო, ლაშხირა შეუვალი აღმოჩნდა. აქვე მინდა აღვნიშნო ის ყურადღება, მზრუნველობა, რომელსაც წლების მანძილზე იჩენდნენ და იჩენენ მის მიმართ სკოლის დირექტორი, თითქმის მთელი კოლექტივი, ძირითადად ახალი თაობა. მათ გააქარწყლეს მოსაზრება, რომ თაობებს შორის ისეთი სიყვარული და სითბო აღარაა, როგორც ადრე იყო.

მე და ლაშხირას ერთი საყვარელი მასწავლებელი გვყავდა – საუკუნის ფილოლოგი (ასე ვუწოდებ მე მას) მარგალიტა კუნჭულია.

პირად არქივში ვხეზვ გაზეთი, სადაც იგი საყვარელ მასწავლებელს ეშვებოდა:

„იტყვიან, ადამიანს არასდროს ავიწყდება თავისი პირველი მასწავლებელი, დაძვინ: ქართველს არასდროს დაავიწყდება თავისი ქართულის მასწავლებელი. და რა ღვთის წყალობაა, როცა ეს მასწავლებელი მარგალიტა კუნჭულია... პიროვნების, ღირსების, მეობის გამოხატულებად მიიჩნდა, ერთის მხრივ, ქართული მწერლობა და ენის ნორმები, მეორეს მხრივ მისი გადარეგვა მოსწავლეების სულისა და



გონების სამყაროში. გვასწავლიდა, გვაოცებდა... გვიყვარდა... ვითაყვანებოდი.

წლებმა წაიღო მისი ფიზიკური ძალმოხილება, მაგრამ ვერაფერი დააკლო მის სულსა და ავტორიტეტს. ვინ შერჩენია წუთისოფელს ბოლომდე, სიკვდილის ანგელოზმა მოაკითხა, რომ უკეთესი სამყაროს ბინადრად აქციოს.“

ლაშხირა მასწავლებელი ... წლებმა, რომელმაც სწრაფად ჩაიარა, კი არაა თითქოს ჩაიქრიალა, მეგობრებად გვაქცია. მაგრამ, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, ნათლად ვიგრძენი, ჩვენი მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ წითელი ხაზის გადაკვეთა მაინც ვერ შეძლო.

ბევრი რამის გამო მინდა ვითხრა მადლობა, მადლობა იმისათვის, რომ შენი უზარმაზარი ტრაგედიის წინაშე აღმოჩნდი უძლიერესი. თუ როგორ და რის ფასად ახერხებ ამას, შენზე უკეთესად არავინ იცის.


რამდენიმე დღეა, საცხოვრებლად თბილისში გადახვედი. ეს შენი ერთადერთი შვილიშვილის გადაწყვეტილება იყო. თავად მითხარი, ეკას გადაწყვეტილება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩემი ძვირფასი საფლავი.

თბილისი ჩვენგან არც ისე შორსაა და არც ისე ახლოს. მაგრამ ყურადღება, მზრუნველობა არ მოვაკლდება. მუდმივი კონტაქტი და ოჯახური სითბო სიცოცხლეს გაგილამაზებს, მასწავლებელი.

ბანანა ძილიფთარი

ოზურგეთის ქუჩების ისტორიები

ვიქტორ დოლიძის ქუჩა



საცხოვრებლად გადადის პარიზში, სადაც აქტიურად მონაწილეობს პარიზის რევოლუციურ ცხოვრებაში 1844 წელს პარიზში შეხვდა ფრიდრიხ ენგელს და დაიწყო მათი მტკიცე მეგობრობა.

1847 წლის მარქსი და ენგელსი მიემხრნენ ფარულ პროპაგანდისტულ საზოგადოებას, რომელსაც პირველ კონგრესზე „კომუნისტური კავშირი ეწოდა“, მათ თვალსაჩინო მონაწილეობ მიიღეს კავშირის მეორე კონგრესის მუშაობაში 1847 წელს ლონდონში შეადგინეს ცნობილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, სადაც მოცემულია პროლეტარიატის დიქტატურის იდეის ფორმულირება.

1867 წელს მარქსმა გამოცხატავის მთავარი ნაწარმოები „კაპიტალი“, რომელიც მეცნიერული კომუნიზმის მთავარ ნაწარმოებადაა მიჩნეული.

კარლ მარქსი გარდაიცვალა 1883 წელი 14 მარტს ლონდონში. დაკრძალულია ჰაიგეტის სასაფლაოზე.

ვიქტორ დოლიძის ქუჩა

ვიქტორ დოლიძის ქუჩა იწევა ვაგზლის მოედნიდან ვიდრე თამარ მეფის სახელობის მოედნამდე (ყოფილ ლენინის მოედნი)

ვიქტორ დოლიძის ქუჩის მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის ქუჩის კვეთიდან დავით გურამიშვილის ქუჩის კვეთამდე თემურ ბოლქვაძის სახელობისაა.

ვიქტორ დოლიძე დაიბადა ოზურგეთში 1890 წლის 18 ივნისს. მისი ბაბუა ესიკა (იასე) დოლიძე გურიელის ყმა ყოფილა გურიანთიდან (კახური). ესიკა დოლიძე მეუღლე კესოსთან ერთად დასახლებულა დიმიტრი გურიელის ნაბობებ მიწაზე ახლანდელი იოანე პეტრიწის ქუჩაზე (ყოფილი კიროვის, სობოროს, ფოსტის

ქუჩა). ამ ადგილას ახლა დგას თორმეთსართულიანი საცხოვრებელი ბინა.

მუსიკალური ნიჭი ესეს და მის ოჯახს ღვთისაგან ჰქონდა მიმადლებული. მრავალშვილიანი ოჯახი იყო და ესიკას ძალიან უჭირდა თურმე ოჯახის გამოკვება. ბატონ აწ განსვენებული მიხეილ გოლიაძის მიგონებიდან: „მაგრამ ხანდახან ესიკა გადაიყრია გულიდან დარდასა და ნათხოვარ „ჩერკესკაში“ და წულამესტებში (მუდამ ქალაქი ეცვა) გამოწყობილი ქორწილებში თუ იმ-სთანა, ამბობდნენ ესიკა დოლიძისთან კრიმინალურს გურიანში ვერვინ იტყვისო“.

უფროსი ვაჟი ისიდორე შობლებმა ლიხაურელ მელანო (ეფროსინე) რუსეთში წავიდა დაქორწინა. ქორწილიდან წლისთავზე დაიბადა სუსტი შავტუხა შავთვალე ბიჭი, ფიზიკურად კი იყო სუსტი, მაგრამ უნიჭიერესი გამოდგა. ეს პატარა ბიჭი მეტად ისწრაფოდა მუსიკისადმი. მისი და ნინოს მოგონება: „საქართველოში ჯერ კიდევ იშვიათი იყო სასულე ორკესტრი, ოზურგეთში არსებული ჯარის ნაწილის მსგელობისას, სამხედრო წვრთნისა თუ მანევრების დროს თან ახლდა სამხედრო მარშით, წინ მიუძღვოდა თავისი სასულე ორკესტრი, „დუხავოი მუსიკის“ ვაგონებისას წერს ნინო დოლიძე თავის წიგნში „ჩემი ძმა ვიქტორ დოლიძე“, ვიქტორი უკან დასდევდა მთელი დღე ორკესტრს, ახლა ვიტარა, თუ ვინმეს ვიტარას სიმი გაუწყვდებოდა, არიქ ისიდორეს ბიჭია მაგის შეპყვებელი ვიტარის ალყაზე სიძებს ვინმე გადაუჭერდა, რადგან 7 წლის ბიჭს ძალია არ ყოფნიდა, უნიკალური სმენის მქონე ბავშვი ყოველ სიმი თავის ხმას დაუბრუნებდა და გამართულ ვიტარას გულში

ჩამწვლამდ აუყურებდა“.

7 წლის ვიქტორი ოჯახთან ერთად ჩაქვში გადადის საცხოვრებლად, იქედან კი თბილისში.

12 წლის ვიქტორი შეიყვანეს კომერციულ სასწავლებელში. აქ იგი თურმე ხორციელად იჯდა მერხზე, სული კი მუსიკაში იყო განიფიებული. თუმცა ტექნიკაში წარმატებით დაამთავრა და სწავლა კიევის კომერციულ ინსტიტუტში გააგრძელა.

კიევში იგი ჩუმად ისე, რომ შინაურებს არ გაეგოთ, პარალელურად კომერციული ინტიტუტისა მუსიკალურ სასწავლებელში პროფესორ გრანელითან სწავლობდა „მომაგალი ბანკის დირექტორი“, იქვე თავად მანდოლინაზე და სხვა სიმებიან ინსტრუმენტზე დაკვრას ასწავლიდა მოსწავლეებს და ჰონორარსაც ღებულობდა, სწავლასაც კარგად უძღებოდა და სასწავლებელიც წარმატებით დაამთავრა. ასე, რომ ვიქტორ დოლიძე უდიდეს ნიჭთან ერთად საფუძვლიან პროფესიული განათლებასაც არ იყო მოკლებული. მან საკომპოზიციო სკოლა და მუსიკალური თეორიის სწავლა კიევში განვლო, ხოლო შემდეგ ამ ცოდნას მთელი ცხოვრების მანძილზე გულმოდგინედ აღრმავებდა, გამუდმებით ეუფლებოდა და სრულყოფდა, გაღმოგვიქმენ მისი ბიოგრაფიები.

კივიდან დაბრუნებული ვიქტორ დოლიძე „ბანკის დირექტორობზე“, ე.ი. კომერციულ თუ საფინანსო საქმიანობაზე და სადმე ჩინოფიკად მოწყობაზე კი არ ფიქრობდა, არამედ სერიოზულად გადაწყვიტა კლასიკური მუსიკისათვის დაეთმო მთელი თავისი ცხოვრება.

კივიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა შემოქმედებით მოღვაწეობას, დაებადა სურვილი დაეწერა ოპერა, რისთვისაც აირჩია აქსენტი ცაგარ-

ელის ცნობილი პიესა „ხანუმა“. ერთი წლის გულმოდგინედ მუშაობის შემდეგ მან პირველმა შექმნა ქართული კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“, იყო დიდი წინააღმდეგობები ითქვა სადაური ოპერაა „კინტოები და მაჭანკლები“, მაგრამ შესანიშნავმა მუსიკამ, ლამაზად გაკეთებულმა ლიბრეტომ გაიმარჯვა და ასე იშვა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პირველად ქართული კომიკური ოპერა, რომელიც ქართული კომიკური ოპერის კლასიკური ნიმუშია და დღემდე დიდი წარმატებით სარგებლობას. ოპერა „ქეთო და კოტე“ 1937 წელს ნაჩვენები მოსკოვში საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველ დეკადაზე. სხვადასხვა დროს ის იდგებოდა სსრკ არაერთ საოპერო თეატრის სცენაზე. სწორედ ვიქტორ დოლიძის ოპერის მიხედვით შეიქმნა მხატვრული კინოფილმი „ქეთო და კოტე“, რომელიც ქართული კინემატოგრაფიის კლასიკად მიიჩნევა.

ვიქტორ დოლიძის შემოქმედებაში ასევე გამოყოფენ ოპერებს: „ლილია“ (1922 წელი, ცაგარელის პიესის „ლიკის ქალი გულჯავარის“ მიხედვით), „ცისანა“ – 1929 წელს, „ზამირა“ ოსურ ხალხურ თემებზე დაუმიზნებული დარჩა 1931 წელი.

1925 წელს ვიქტორ დოლიძემ შექმნა სიმფონიური ფანტაზია „ივერიადა“, ხოლო 1932 წელს სიმფონია „აზერბეიჯანი“ და საფორტეპიანო კონცერტი. ავტორია რამდენიმე რო-ანისა.

ვიქტორ დოლიძე გარდაიცვალა 1933 წლის 20 მაისს 43 წლის ასაკში. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში

ბანანა ლომაძე

ოზურგეთის საბუნებრივი გაერთიანების ფონდების მცველი

ვიქტორ დოლიძის ქუჩას ადრე მარქსის ქუჩა ერქვა უფრო ადრე გასაბჭოებამდე სამხედრო აღმართი.

ადრინდელი ქუჩის სახელწოდება სამხედრო აღმართი შესაძლოა დაერქვა იმის გამო, რომ ქალაქის ბოლოში ნატანების ქუჩის ბოლო (ამჟამად კოსტავას ქუჩა) განთავსებული იყო სამხედრო ყაზარმები.

მარქსის ქუჩა

აღნიშნული სახელი ქუჩას ეწოდა გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის კარლ მარქსის საპატივცემულოდ.

კარლ-ჰაინრიხ მარქსი დაიბადა 1818 წლის 5 მაისს ტრიერი(გერმანია) გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი პოლიტიკური თეორეტიკოსი, სოციოლოგი, როგორც ამბობენ კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოაზროვნე, მისმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ და პოლიტიკური აზროვნების განვითარებაზე. იყო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი. 1841 წელს იენის უნივერსიტეტმა მას მიანიჭა დოქტორის ხარისხი. 1843 წელს მარქსი

მცირე ამბავი დიდ კაცზე და კიდევ ბევრი ამბავი



რომლითაც სახელმწიფო თავის უწინდეს მოვალეობად უნდა აღიარებდეს ხალხის შევლას ყოველთვის და გაჭირვების დროს, ხომ უფრო, მის კეთილდღეობისათვის წაიღოს, მზრუნველობას და მზრუნველ გულადედას, და ამ შემთხვევაში ზოგა და ბუნებრივად სახელით და დასახელებით სახელმწიფო სახეს. ვე შევლა და ხელახლება სახელმწიფოს მით უფრო არის სასარგებლო, რომ თვითონ სახელმწიფო არაფერს დაჰყარავს: ხალხი, ფეხზედ წარმოძვარი, უფრო უკეთესი დონეა სახელმწიფოსთვის, ვიდრე დავრდობილი და სულით და ხორცილთა გათანხრობული: მართო გულმოდგინებით და ფეხმადგინებული ხალხი უმრავლესად სახელმწიფოს სიძლიერისა და ძალისა. აქ ყოველივე შესწირავი, ყოველივე სწილავი-საქმელი ვხსნა აზრის, გლეხისა არ იყოს, და სახელმწიფოს ვარდამტეხებით დაუბრუნდეს. ჩვენს სამშუხაროდ, ისმის, რომ ეს სანატრელი მხარე მთავრობის ფუნქციონირების არ არის აჭარასა და ქობულეთში, თუქცა მოხელეთა შორის იმისთანა პატიოსანი და ხალხის გულმტკიცარი კაციც არის სხვათა შორის, როგორც თავ. ვრიგოლ გურიელი. მაგრამ ხომ მოვეხსენებთ, ერთის მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს არ მოიფანს...“



ბერისმთქმელი ამონარიდი.
 ღმერთო ჩემო, რამდენი სიტყვაა ლამის 145 წლის წინანდელ სტატიაში, ახლაც რომ ყურში ჩაქმსის...
 ვიმბოვებ, „ალიონის“ ბევრ მკითხველსაც...

PS.

დღემდამისთვის სპეციალურად ამოგვლილი, 2023 წლის 10 აპრილის განთქ „ალიონის“ მეხუთე გვერდი გულდასმით წაიკითხა, მაგდაზე დადი, რატომღაც ხელი გადაუსვა, თავი ჩემკენ მოაბრუნა და გაკვირებით მკითხა:

– ვიო, გრიგოლ გურიელის ბიოგრაფია რატომ „დაუმუღ“ გუროლებს? – ბრძკველებში ჩასმული „დაუმუღ“, ისე ლამაზად წარმოთქვა, „ფიონზე“ აღსაბუძვლად ღირდა. იშვიათი შემთხვევა კი იყო, მაგრამ „მობილური“ არც ხელში მტკიცარა და არც ახლოს მდებ, „მისალფელ აფილზე“.

